



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპრეზიდო

განკარგულება N^o 29

3 “—” 2017 ፳፻፱፭

d. စာပေါင်း

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქ. №2,
ახვლედიანის ქ. №1ა, 2-ის მიმდებარედ, ნაკვეთი №98-ის მომიჯნავედ ჩრდილოეთით
არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით ქალაქ თბილისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 5 იანვრის №1 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 წლის №04/932 წერილის (AR1468275) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის იანვრის №04/932 წერილის (AR1468275) შესაბამისად:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, სამღორის რაიონში, ორხევის დასახლებაზე,
ახვლედიანის ქ. №2, ახვლედიანის ქ. №1ა, 2-ის მიმდებარედ, ნაკვეთი №98-ის მომიჯნავედ
ჩრდილოეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი
კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ
გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1468275 განცხადის და თანდართული
დოკუმენტაციის შესაბამისად.

დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისმთების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. ანურგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება დაწესებულებების მიერ დამტკიცებული დოკუმენტების მიზანით განვითარება გასაჩივრდეს თბილისის
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიმლება გასაჩივრდეს თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

2018.8.28

გიორგი ალიბეგაშვილი

საპროექტო ობიექტი: მრავალფუნქციური კომპლექსი (საწარმოო, სასაწყობე, ადმინისტრაციულ-საოფისე, კომერციული, სასტუმრო) პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება;

ობიექტის მისამართი/ ადგილმდებარეობა: - ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანი , N1ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანი, N 2, (ნაკვეთი N2/38) / ქალაქი თბილისი, ქუჩა ახვლედიანი, N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/053)/ ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, ნაკვეთი N98-ის მომიჯნავედ ჩრდილოეთით/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ახვლედიანი, N 2 მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ორხევი, ქუჩა ახვლედიანი, N1ა-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანი, N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/054) / ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, ქუჩა ახვლედიანი, N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/085);

განმდებარებელი: - ზურაბ კირკიტაძე;

საპროექტო ტერიტორიის არეალში შემავალი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები: #01.19.16.002.126; #01.19.16.002.147;

გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის არეალში შემავალი მიწის ნაკვეთის ფართობი: 2455 მ²; 16403 მ²;

გრგ-ს საპროექტო არეალის საერთო ფართობი: 18858 მ²;

ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონა:- პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;

გეგმარებითი კარვასი (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქითმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქითმშენებლობითი დოკუმენტებით;

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:

ტერიტორიის დახასიათება და ქალაქითმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები მდგომარეობს შემდგომში:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილების მიხედვით საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2); სამრეწველო ზონა 2 (ს-2);

საპროექტო ფუნქციური ზონები და ქალაქების მარებითი პარამეტრები განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

- საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” შესაბამისად.

შენიშვნა 1. - რადგან საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია სხვა და სხვა შინაარსის ფუნქციური სახეობების განვითარება, მიზანშეწონილია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ფარგლებში მოხდეს ტერიტორიის განაშენიანების რიგითობის ასახვა.

შენიშვნა 2. - რადგან არსებული მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2), რომლის განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებმიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე — ნაგავსაყრელის ტერიტორიები, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას;

ასევე დასკვნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგის კვლევის თაობაზე, რათა ნიადაგში მავნე ნივთიერებების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულმა არ იქნიოს ზეგავლენა სასაწყობე შენობა-ნაგებობაში შესანახი პროდუქციის ვარგისიანობაზე;

გრგ დავალების გაცემის საფუძველია:

- ელექტრონული განცხადება AR1468275 (03.01.17.)

-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #01 (05.01.17.);

შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან:

- მრავალფუნქციური კომპლექსი (საწარმოო, სასაწყობო, ადმინისტრაციულ-საოფისე, კომერციული, სასტუმრო) დაპროექტდეს საპროექტო არეალში შემავალი საკადასტრო რუკებით დადგენილი საზღვრების ფარგლებში;
- იმ შემთხვევაში თუ იგეგმება ერთიანი არეალის დამოუკიდებელ სექტორებად დაყოფა პროექტში (უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელ სავალდებულო რუკაზე) ასახული იქნეს თითოეული საპროექტო ობიექტისთვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთების გამოჯვნის სქემა, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები იქნება საფუძველი შემდგომში ობიექტების ინდივიდუალური მშენებლობისთვის;
- იმ შემთხვევაში თუ იგეგმება ერთიანი არეალის დამოუკიდებელ სექტორებად დაყოფა თითოეული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობადამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში სერვისულის გამოყენებით;
- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის არეალში და მის გარე

- ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლი სატრანსპორტო სქემა;
- გამოყოს ტერიტორია საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომების მოსაწყობად (ღია და დახურული სადგომების რაოდენობა განისაზღვროს გრე-ს პროექტით);

სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა:

- სართულიანობა და განაშენიანების ტიპი დადგენილ იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
 - აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
 - გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ნაგებობები;
 - სარეკრეაციო სივრცეები დაიგეგმოს ფუნქციური ზონების და საპროექტო ობიექტების შესაბამისი მოცულობებით;
- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიისა და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლად სატრანსპორტო სქემა, მრავალფუნქციური კომპლექსის შესაბამისი დატვირთვების ანგარიშის შესაბამისად;
- საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (იპოთეკარის თანხმობით) და ტერიტორიიდან გატანა (შესაბამისი პროექტით) ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა:

მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვისურების წარმოქმნა, ინსოლაცია, ზურნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) განისაზღვროს:

- ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქი დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.
- პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიაში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობები
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- ტოპო გეგმა (მ. 1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, საინჟინრო კომუნიკაციების დატანით (პირობითი აღნიშვნების მითითებით);
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისად, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო ტერიტორიების შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სამშენებლო ტერიტორია შემოისაზღვროს ღობით და მოწყოს დაცვისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა;

-გრგ-ს პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს:

—გრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრეა შპს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და პასუხისმგებელი პირის/პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება. ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები განისაზღვროს შემდეგ ნაირად:

წარმოდგენილი იქნეს:

- გამწვანება და დენდროლოგიური სქემა;
- საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გამწვანების არსებობის შემთხვევაში მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;
- კეთილმოწყობის სქემები;
- გამოიყოს ტერიტორია ნაგვის ყუთების განსათავსებლად;
- მოწყოს პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად.
- გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით

- განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით.
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მოსახურების უზრუნველსაყოფად;
- გრგ-ს პროექტით გათვალისწინებულ იქნეს ხაზოვანი ნაგებობების (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა) სქემა როგორც პროექტში ასევე დეტალურ სავალდებულო რუკაზე;
- ტერიტორიაზე საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში დაცული იქნეს მათთან სამშენებლო ნორმები, ხოლო მათი გადატანის აუცილებელობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები:

ტერიტორიის არსებული ზონის სახეობა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გვ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე ტერიტორიებს);

ტერიტორიის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი:

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0.5*0.7	კოეფიციენტი	
კ-2	4.6	კოეფიციენტი	
კ-3	0.2	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	700	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	20	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	30	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
შენიშვნა	*მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის		

სამრეწველო ზონა 2 (ს-2) – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე — ნაგავსაყრელის ტერიტორიები;

საპროექტო განაშენიანების ფუნქციური ზონები და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით:

განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი სახეობა: — საზოგადოებრივი;

— საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) — განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) — განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

გ) განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა — განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. ტერიტორიის გრგ-ს გეგმარებითი დავალება ან რეკვიზიტი;
2. საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმები;
3. ზოგადი გეოლოგია;
4. ტოპო-გეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით მ. 1:500;
5. სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან მ 1:1000;
6. გრგ-ს ტექსტური ნაწილი: გრგ-ს აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
7. ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ. 1:500;
8. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტები (საჭიროების შემთხვევაში);
9. განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან მ 1:1000;
10. ფუნქციური ზონირების რუკა;

11. მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა);
12. ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა მ 1:500 ან მ 1:1000;
13. ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება, მ 1:000, მ 1:200 ან მ 1:500;
14. მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩასატარებელი ქალაქთშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი და გეგმა მ 1:1000 ან მ 1:500 (საჭიროების შემთხვევაში);
15. გრგ-ს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების 3D ელექტრონულ-ციფრული მაკეტირება;
16. საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ 1:500 ან მ 1:1000 (საჭიროების შემთხვევაში);
17. ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული კვლევა (საჭიროების შემთხვევაში);
18. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში);

შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში 5 და 15 პუნქტებში მითითებული მასალები AutoCAD ან ArchiCAD -ის ფორმატში იქნეს ატვირთული tas.ge გრგ-ს შეთანხმების ველში. საკონრდინაციო სისტემა უნდა შესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.

გრგ-ით მოცული ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
- მიწის ნაკვეთის საზღვრები;
- განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები);
- შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები – H;
- მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)
- განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
- გამწვანების კოეფიციენტი კ3;
- ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანო გზები და ავტოსადგომები;
- მითითებული იქნეს გაბარიტული ზომები;

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროცესი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.